სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 27 ივნისი, 2024
სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
მისამართი: დისტანციურად, Zoom პლატფორმის გამოყენებით
სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცინო ცხვედიანი, მარიამ კუბლაშვილი, თორნიკე ბაქრაძე, ია გაბედავა, ინგა სეხნიაშვილი, როინ მიგრიაული, დიანა გვიშიანი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ა) ზურაბ ძნელაშვილის, სანდრო მწყერაძის, გიორგი ქუმსიაშვილის, ნათია ბეჭვაიას, მამუკა გოგოლაძის და ეთერ ღვინიაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.
წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ზურაბ ძნელაშვილის, სანდრო**

მწყერაძის, გიორგი ქუმსიაშვილის, ნათია ბეჭვაიას, მამუკა გოგოლაძის და ეთერ ღვინიაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

ბ) გურჯან ტაბეშაძის, მარიამ ტალიაშვილის, დიმიტრი ჩაფიჩაძის და გიორგი შავლიაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი აქვთ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3-თვიანი თეორიული კურსის გავლის დამადასტურებელი ცნობა და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ “საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გურჯან ტაბეშაძის, მარიამ ტალიაშვილის, დიმიტრი ჩაფიჩაძის და გიორგი შავლიაშვილის განცხადებები ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ზურაბ შელიას და გიორგი სუხიტაშვილის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზურაბ შელიას და გიორგი სუხიტაშვილის მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზურაბ შელიას და გიორგი სუხიტაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ გურჯან ტაბეშაძის, მარიამ ტალიაშვილის, თინათინ მერკვილაძის, დიმიტრი ჩაფიჩაძის და გიორგი მიქელაძის (6943) განცხადებებს "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს გურჯან ტაბეშაძის, მარიამ ტალიაშვილის, თინათინ მერკვილაძის, დიმიტრი ჩაფიჩაძის და გიორგი მიქელაძის (6943) განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრობის კანდიდატის, საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენის თაობაზე საკითხის განხილვა.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2024 წლის 21 ივნისს გამოცემულ იქნა განკარგულება N21/06/01, რომლის თანახმადაც შეიქმნა კომისია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრობის არამოსამართლე კანდიდატის შერჩევის მიზნით. აღნიშნული განკარგულების თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი შეირჩევა საქართველოს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პროფესორებისა და მკვლევრებისაგან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების ან/და საქართველოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარდგენილი პირებისაგან, შესაბამისი ორგანიზაციის კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე. ასევე, ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები უფლებამოსილი არიან საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინონ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის არა უმეტეს ერთი კანდიდატურისა.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, ადვოკატთა ასოციაციას, თავისი კანდიდატურის წარდგენის მიზნით, 2024 წლის 25 ივნისს მომართა ასოციაციის წევრმა ადვოკატმა - დიმიტრი გაბუნიამ (სიითი N 0163).

წევრები გაეცნენ ადვოკატ დიმიტრი გაბუნიას წარმოდგენილ განცხადებას თანდართული დოკუმენტაციით. წევრებმა განაცხადეს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია უფლებამოსილია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონითა და საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილი წესით, 2024 წლის 21 ივნისიდან 10 (ათი) დღის ვადაში პრეზიდენტს წარუდგინოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრობის არაუმეტეს ერთი კანდიდატურისა.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების დეტალური განხილვის და მსჯელობის შემდეგ, კენჭისყრის შედეგად (მომხრე 7: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცინო ცხვედიანი, მარიამ კუბლაშვილი, თორნიკე ბაქრაძე, ინგა სეხნიაშვილი, როინ მიგრიაული, დიანა გვიშიანი, წინააღმდეგი 1: ია გაბედავა) მიღებულ იქნა შემდეგი <u>გადაწყვეტილება</u>:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ასარჩევად საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენილ იქნას ასოციაციის წევრის - დიმიტრი გაბუნიას (პ/ნ. 62001019252) კანდიდატურა.

საკითხი 5. 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ცვლილებების შეტანა.

აღმასრულებელმა მდივანმა საბჭოს წევრებს გააცნო ადვოკატთა ასოციაციის 2024 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, რომელიც ეხება სამივლინებო მუხლს.

წევრები გაეცნენ სხდომაზე წარმოდგენილ ცვლილებებს. დაისვა კითხვები და გაცემულ იქნა პასუხები.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შევიდეს ცვლილება, სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N1).

საკითხი 6. ადვოკატის პროფესიული უფლებების იმერეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის და თანათავმჯდომარის დანიშვნის შესახებ საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა ადვოკატის პროფესიული უფლებების იმერეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციაზე - გრიგოლ გიორგაძის და თანათავმჯდომარის პოზიციაზე - ნორა მურღულიას კანდიდატურები.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატის პროფესიული უფლებების იმერეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციაზე - გრიგოლ გიორგაძის და თანათავმჯდომარის პოზიციაზე - ნორა მურღულიას კანდიდატურები.

საკითხი 7. ქეთევან ცაბაძის განცხადება, საიმიგრაციო სამართლის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ ქეთევან ცაბაძის განცხადებას, საიმიგრაციო სამართლის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) დაკმაყოფილდეს ქეთევან ცაბაძის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის საიმიგრაციო სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.5 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს ქეთევან ცაბაძის კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის საიმიგრაციო სამართლის კომიტეტის წევრად.

(ბ) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 8. საქართველოს არბიტრთა ასოციაციის კურსის აკრედიტაციის შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის კურსის აკრედიტაციის განცხადებას.

მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს საჭირო დოკუმენტაცია და აკმაყოფილებს აკრედიტაციის წესებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

(ა) დაკმაყოფილდეს საქართველოს არბიტრთა ასოციაციის განცხადება კურსის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(გ) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

საკითხი 9. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის კანდიდატურის - შალვა ხაჭაპურიძის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატად შალვა ხაჭაპურიძის კანდიდატურა.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 10. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების ცნობად მიღება.

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ ქეთევან არსენიძის მიმართ მიღებულ 2024 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებას (საქმის #3/1017-22), რომლის თანახმად სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის 17, 20, 21, 22, 23 და 24 დეკემბერს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შესული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2022 წლის 25 იანვრის #01 სხდომის ოქმი იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების N 66 ტესტში ქულის მომატების თაობაზე და ადვოკატთა ასოციაციას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც ქეთევან არსენიძეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების N 66 ტესტში მოემატება 1 (ერთი) ქულა. ასევე, ადვოკატთა ასოციაცია დაეკისრა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 50 (ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება ქეთევან არსენიძის სასარგებლოდ.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

(1) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 25 აპრილის (საქმის #3/1017-22) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ქეთევან არსენიძეს N66 ტესტის ნაწილში მოემატოს 1 (ერთი ქულა). შესაბამისად, ქეთევან არსენიძის მიერ 2021 წლის 21 დეკემბრის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგად მიღებული ქულათა რაოდენობა განისაზღვროს 75 ქულით.

(2) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 25 აპრილის (საქმის #3/1017-22) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, ქეთევან

არსენიძეს აუნაზღაურდეს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

საკითხი 11. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) სალომე კალაიჯიშვილის განცხადებებს.

ადვოკატმა სალომე კალაიჯიშვილმა ადვოკატთა ასოციაციას განცხადებებით მომართა 2024 06 და 10 ივნისს. განცხადებით მოთხოვნილია კონკრეტული ადვოკატის ადვოკატთა ასოციაციიდან გარიცხვა.

წევრებმა აღნიშნეს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებებში გადმოცემული შინაარსი ფორმულირებულია უცენზურო სიტყვებით, რომლებიც არაეთიკური და მიუღებელია. ასევე, განცხადებაში დაფიქსირებული მოთხოვნა ცდება აღმასრულებელი საბჭოს კომპეტენციას. შესაბამისად, სალომე კალაიჯიშვილის განცხადებები უნდა დარჩეს განუხილველი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

განუხილველად დარჩეს სალომე კალაიჯიშვილის 2024 წლის 06 და 10 ივნისის განცხადებები.

(ბ) ქეთევან შაოშვილის განცხადებას სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანახმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ქეთევან შაოშვილის განცხადება და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 11.7 მუხლის თანახმად, მიეცეს შესაძლებლობა შეარჩიოს ახალი სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

(გ) დიანა მამუჭაძის განცხადებას, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის საფასურის გადანაწილების შესახებ.

წევრები გაეცნენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილის დიანა მამუჭაძის განცხადებას. განმცხადებლის განმარტებით იგი ვერ ახერხებს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დარჩენილი საფასურის გადახდა თეორიული კურსის დასრულებამდე. შესაბამისად, საბჭოს მომართავდა თხოვნით მისცემოდა შესაძლებლობა თეორიული კურსის საფასური გადავადებოდა ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების დასრულებამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს დიანა მამუჭაძის განცხადება და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის დარჩენილი საფასურის გადახდა გადაუვადდეს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების დასრულებამდე.

(დ) ლაშა ჯანიბეგაშვილის განცხადებებს.

წევრები გაეცნენ ლაშა ჯანიბეგაშვილის 2024 წლის 04, 05 და 11 ივნისის განცხადებებს. განმცხადებელი 2024 წლის 11 ივნისის განცხადებაში მიუთითებს, რომ გაანალიზა ყველაფერი და მზად არის საჯაროდ უარყოს ის ინფორმაცია, რა ფორმითაც გააკეთა ეთიკის კომისიის თავმჯდომარის - კონსტანტინე გელაშვილის მიმართ. შესაბამისად განმცხადებელი მომართავს საბჭოს მორიგების მიზნით განახორციელოს მედიაცია მასსა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის - კონსტანტინე გელაშვილს შორის.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განმარტეს, რომ მართალია, ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-15.1 მუხლი ანიჭებს საბჭოს უფლებამოსილებას იყოს ასოციაციის მოდავე წევრების ან წევრებისა და მათი კლიენტების მომრიგებელი (მედიატორი), მაგრამ აღნიშნული მუხლი შეიცავს იმპერატიულ დათქმას, რომ ამისათვის საჭიროა ორმხრივი მომართვა. იქედან გამომდინარე, რომ საბჭოზე წარმოდგენილია მხოლოდ ერთი მხარის (ლაშა ჯანიბეგაშვილის) მომართვა, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა. რაც შეეხება 2024 წლის 04 და 05 ივნისის განცხადებებს, აღნიშნულ განცხადებებში დაფიქსირებული მოთხოვნა ცდება აღმასრულებელი საბჭოს კომპეტენციას, რის გამოც უნდა მოიხსნა დღის წესრიგიდან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. **არ დაკმაყოფილდეს ლაშა ჯანიბეგაშვილის 2024 წლის 11 ივნისის განცხადება.**
2. **2024 წლის 04 და 05 ივნისის განცხადებები მოიხსნას დღის წესრიგიდან.**

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე